


## ღია საგრანტო კონკურსი

**ქალთა ჯგუფებისა და ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა და მდგრადობა**

“ქალთა ფონდი საქართველოში” აცხადებს ახალ საგრანტო კონკურსს „ქალთა ჯგუფებისა და ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა და მდგრადობა“.

საგრანტო პროგრამა მიზნად ისახავს ქალთა უფლებების აქტივისტებისა და ადვოკატების გავლენის ზრდისა და შენარჩუნებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას საქართველოში, ასევე, მოძრაობათშორისი თუ რეგიონული თანამშრომლობის წახალისებას.

იხილეთ ვრცლად

## ღია საგრანტო კონკურსი

**ღია კარის საგრანტო პროგრამა 2018**
(ღიაა მთელი წლის მანძილზე)

პროგრამა მიესალმება რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული ჯგუფების ინოვაციურ ინიციატივებს, რომელთა მთავარი მიმართულებაა ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვა და მათთან დაკავშირებული საკითხები;

ასევე, ფონდი მხარს დაუჭერს მკვლევარი ან ხელოვანი ქალების ინდივიდუალურ ან ჯგუფურ ინიციატივებს თბილისსა და რეგიონებში.

იხილეთ ვრცლად




## ფემინისტური ფესტივალი თელავში

1-3 ივნისს, „ქალთა ფონდმა საქართველოში“ მეორე ფემინისტური ფესტივალი თელავში გამართა. წლევანდელი ფესტივალის სახელი იყო “ჩაგვრა და პრივილეგია” და მის მთავარ თემას წარმოადგენდა მჩაგვრელი სისტემების ურთიერთკვეთა.

სამდღიანი ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ლექციები, ვორქშოპები, კონცერტი, ფილმების ჩვენება და სხვ. ფესტივალის აკადემიური ნაწილი შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ქალთა უფლებებისა და გარემოსდაცვითი პრობლემების ურთიერთკავშირი, ქალთა უფლებები და სოციალური პრობლემები, ქალები და მიგრაცია და ა.შ

იხილეთ ვრცლად




## ფემინისტური კითხვა

19 ივნისს, პროექტის „ფემინისტური კითხვა მწერალთა სახლში“ ბოლო, რიგით მეათე შეხვედრა გაიმართა მწერალ თამთა მელაშვილთან.

“ქალთა ფონდი საქართველოში’-ს მიერ დაფინანსებულ პროექტს მწერალთა სახლი მასპინძლობდა.

[იხილეთ ვრცლად]



## “დედამიწარიუმი”

22 აპრილს, დედამიწის საერთაშორისო დღეს, მზიურის პარკში დაიდგა ეკო-სკულპტურა „დედამიწარიუმი“, რომლის ავტორიც სალომე კოშკაძეა.

პროექტის მიზანია მნახველებს შეახსენოს, რომ ადამიანების ვალია დედამიწას გაუფრთხილდნენ.

[იხილეთ ვრცლად]

## ფემინისტური ცოდნა თბილისსა და რეგიონებში

საინიციატივო ჯგუფმა - ფემინისტური კოლექტივი “ახალი ტალღა” ფონდის დაფინანსებით მოამზადა კვლევა იმ ცოდნისა და ინფორმაციის შესახებ, რომელიც სტუდენტ გოგონებს ფემინიზმის შესახებ აქვთ თბილისსა თუ რეგიონებში.

[იხილეთ ვრცლად]






## პერფორმანსის დღეები

“ქალთა ფონდი საქართველოში”-ს მხარდაჭერით ივნისის დასაწყისში, სხვადასხვა ქვეყნის ქალმა პერფორმერებმა წარმოადგინეს თავიანთი პოზიციები იდენტობის, ადგილის, შიდა და გარე სივრცის სუბიექტურობის შესახებ.

[იხილეთ ვრცლად]

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

P: (+995) 322 399998
A: 8. Sergo Zakariadze Str.
E: info@womenfundgeorgia.org
www.womenfundgeorgia.org